

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა ებრაისტიკა-არამეისტიკა

საბაკალავრო პროგრამა: ებრაისტიკა-არამეისტიკა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი **B A
in Humanities**

პროგრამის კოორდინატორი: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ასოცირებული პროფესორი მარიამ ჩაჩიბაია

პროგრამის ანალოგები:

– წარმოდგენილი საბაკალავროპროგრამის ანალოგი შეიძლება დაიძებნოს:

1. კემბრიჯის (<http://www.oriental.cam.ac.uk/hebrew1.html>),
2. ლაიდენის (http://www.mastersinleiden.nl/programmes/ma_hebrew_aramaic.jsp)
3. ოქსფორდის (<http://www.orinst.ox.ac.uk/nme/hebrew-mst.pdf>),
4. ლონდონის უნივერსიტეტის SOAS-ის კოლეჯი (www.soas.ac.uk/studying/courseinfo.-cfm?courseinfoid=9-14k)
5. თელ-ავივის უნივერსიტეტი (ისრაელი) (<http://www.tau.ac.il>) და სხვ.

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა:

ენის სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლების პირველი წლის II სემესტრი (სპეციალობის ენაში მოსაპოვებელი 35 კრედიტის შესასრულებლად სტუდენტს 7 სემესტრიანი ენის კურსის გავლა მოეთხოვება).

საბაკალავრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

მიზანი

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთში ჩასახულ ცივილიზაციებს კაცობრიობის ისტორიისათვის. ჩვენს თანამედროვეებს კარგად ესმით დღეს აღმოსავლეთის ქვეყნების, მათ შორის ისრაელისა და არაბული ქვეყნების როლი და მნიშვნელობა როგორც რეგიონის, ისე საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით.

ქართული აღმოსავლეთმცოდნეობა, და კერძოდ სემიტოლოგიური სკოლა დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მსოფლიოში, მათ შორის აღმოსავლეთის იმ ქვეყნებში, რომლებსაც ის შეისწავლის. გეოგრაფიული არეალი, რომელსაც იკვლევს სამამულო აღმოსავლეთმცოდნეობა მოიცავს ჩრდილო აფრიკასა და აზიას.

პროგრამის მიზანია სპეციალისტების მომზადება მსოფლიოს წამყვან ორიენტალისტურ ცენტრებსა და უნივერსიტეტებში დამკვიდრებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, თსუ-ში არსებული ტრადიციების გათვალისწინებით.

ქართული ებრაისტიკისა და არამეისტიკის სკოლის განვითარებას განსაკუთრებული როლი ეკისრება უპირველესად ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისა და კვლევის, და ასევე საკუთრივ ებრაისტიკა-არამეისტიკის პრობლემატიკის კვლევის საქმეში. უაღრესად მნიშვნელოვანია ებრაული და არამეული ენების როლი საქართველოს ისტორიის, ქართული დამწერლობისა და ფილოლოგიის მრავალი საკითხის შესწავლისას, ქართული და წინა აზიის ძველი ენების ურთიერთობის

საკითხების კვლევისას, ბიბლიის ძველი ქართული თარგმანების წარმომავლობის შესწავლისას ებრაულ დედანთან თუ მის უძველეს არამეულ (სირიულ) თარგმანთან მიმართებით და სხვ. მოსეს ხუთწიგნეულის არსებულ ხელნაწერთა შორის კონსონანტური ტექსტის მხრივ ერთ-ერთი საუკეთესო თბილისური ებრაული ხელნაწერის (X ს.) – “ლაილაშის ბიბლიის” შესწავლა და ტექსტის აკადემიური გამოცემა ქართველ ებრაისტ-არამეისტების უმნიშვნელოვანეს სამომავლო ამოცანებში შედის.

ებრაული და არამეული ენების სწავლებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დაარსების დღიდან (1945 წ.) ამ მიმართულებით მომზადებულია ათეულობით მაღლკვალიფიციური სპეციალისტი, რომლებიც დღეს წარმატებით იღვწიან, როგორც სამეცნიერო-კვლევით, ისე პედაგოგიურ ასპარეზზე, ასევე საქართველოს საგარეოპოლიტიკურ უწყებებში, კომერციულ ორგანიზაციებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და სხვ.

ბაკალავრიატის პროგრამის ფარგლებში საწყის ეტაპზე ყურადღება გამახვილებულია სპეციალურ დისციპლინებსა და მომიჯნავე დარგებში (ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა და სხვ.) საფუძვლების დაუფლებაზე. თანდათანობით, 4-5 სემესტრის შემდეგ, ხდება სემიტოლოგიური დისციპლინების სპექტრის გაფართოება. შემენილი ცოდნის ბაზაზე სტუდენტს ეძლევა ფართო არჩევანი შემდგომი დასპეციალებისა და პროფესიული კარიერის განსაზღვრისათვის. მომავალ სპეციალისტს საშუალება ექნება შემოქმედებითად, მოცემულ დროს ბაზრის მოთხოვნისა და საკუთარი შემეცნებითი ინტერესების გათვალისწინებით განსაზღვროს თავისი განათლების მიმართულება და ხარისხი. თავის მხრივ პროგრამა სტუდენტს სთავაზობს საკუთარ კურიკულუმს, სადაც, სათანადო არგუმენტაციით, წარმოდგენილია ის დარგები და სპეციალობები (მაგალითად, ბერძნული, სომხური ენები ბიბლიის კვლევით დაინტერესებულთათვის, ფილოსოფიის საფუძვლიანი კურსი ებრაული ფილოსოფიით დაინტერესებულთათვის, სემიტური ენები – სემიტოლოგიაში მომუშავეთათვის და სხვ.), რომელთა შესწავლა სტუდენტს დაეხმარება პროფესიის უკეთ დაუფლებასა და წარმატებულ სამეცნიერო მოღვაწეობაში.

ებრაისტიკა-არამეისტიკის დეპარტამენტი აქტიურად ითანამშრომლებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის ჯგუფთან. ჩვენი საბაკალავრო პროგრამა აუცილებლად ითვალისწინებს სხვადასხვა სფეროებიდან მიღებული ცოდნის ინტეგრირებას და თავის მხრივ, შესაბამის ინტერესთა გათვალისწინებით, ჰუმანიტარული განათლების ფარგლებში საკუთარ დისციპლინებს (მაგ.: ძვ. ებრაული ენა და ლიტერატურა, ბიბლიისტიკა, ებრაული ფილოსოფია, იუდაიზმი და სხვ.) სთავაზობს განსხვავებული სპეციალობის სტუდენტებს (ფილოლოგებს, ფილოსოფოსებს, თეოლოგებს, ჟურნალისტებს, ისტორიკოსებს და სხვ.).

სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ ებრაისტიკა-არამეისტიკის კურსები სხვადასხვა სფეროში: კლასიკურსა და თანამედროვე ებრაულში, თანამედროვე ისრაელის ლიტერატურაში, ბიბლიისტიკაში (კლასიკური ებრაული ტექსტები – ბიბლია, თალმუდი და სხვ.), ებრაული და არამეული ენების ისტორიულ გრამატიკაში, კლასიკურ სირიულ ენაში, სირიული ლიტერატურის ისტორიაში, სირიულ-ქართულ ლიტერატურულ და ენობრივ ურთიერთობებში, თანამედროვე ისრაელის ისტორიაში და სხვ.

სწავლების ამგვარი სისტემა სტუდენტს უყალიბებს პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ გრძნობას, ხდის მას ბევრად უფრო მიზანსწრაფულს. სტუდენტი

მაქსიმალურად ეცდება, რომ მისმა არჩევანმა გაამართლოს. ეს სისტემა ხელს შეუწყობს სტუდენტს დამოუკიდებელი აზროვნებისა და ძიების ჩვევების გამომუშავებაში. შედეგად მივიღებთ განათლებულ პიროვნებას, რომლის პროფესიული მომზადება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი იქნება.

საბაკალავრო პროგრამის აქტუალობას უდავოდ განაპირობებს საქართველოში მნიშვნელოვანი ებრაული და არამეული დიასპორის არსებობა.

საბაკალავრო კურსისათვის შესაფერისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

ოსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულებას ებრაისტიკა-არამეისტიკის საბაკალავრო პროგრამისათვის კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვს, კერძოდ:

ებრაისტიკა-არამეისტიკის დეპარტამენტი თანდათანობით ყალიბდება, როგორც უნივერსიტეტთაშორისი და საერთაშორისო სტრუქტურა. ის ორგანიზებას უწევს და ამყარებს კონტაქტებს როგორც ისრაელის, ისე დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებთან. ეს კონტაქტები ღრმავდება და თანამშრომლობის სულ უფრო მეტ სფეროს მოიცავს (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა და სხვ.). 2009-2010 სასწავლო წელს დაგეგმილია ცნობილი სპეციალისტების მოწვევა ლექციების წასაკითხად თელ-ავივისა და ლაიდენის უნივერსიტეტებიდან.

ებრაისტიკა-არამეისტიკის დეპარტამენტის კუთვნილი ორი კეთილმოწყობილი აუდიტორია აღჭურვილია სწავლებისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებებით (კომპიუტერთი, ინტერნეტით, აუდიო და ვიდეო კასეტებით, მაგნიტოფონით, კომპაქტ-დისკებით).

სტუდენტისათვის საჭირო ლიტერატურის მოძიება შეიძლება – ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ვ. კველიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ბიბლიოთეკასა და ვ. სალიას კაბინეტში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში.

პროგრამაში ჩართული მასწავლებლები

ებრაისტიკა-არამეისტიკის დეპარტამენტი წარმოდგენილია მაღალკვალიფიციური კადრებით ორი ასოცირებული, ერთი ასისტენტ-პროფესორი და მოწვეული სპეციალისტები. ებრაისტიკა-არამეისტიკის თანამშრომლები მივლინებულები იყვნენ უცხოეთის მნიშვნელოვან სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებში – ლონდონის უნივერსიტეტში – შ შ-ის კოლეჯში, ბრიუსელისა და ლუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტებში, იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში, დამასკოს ნაციონალურ უნივერსიტეტში, თელ-ავივის უნივერსიტეტში, ლაიდენის (ჰოლანდია) უნივერსიტეტში, მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტებში.

სოხნუთისა და ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს “მაშავის” პროგრამით ებრაისტიკა-არამეისტიკის დეპარტამენტის სტუდენტები სისტემატურად გადიან მოკლე და გრძელვადიან სტაჟირებას ისრაელის უნივერსიტეტებში. მათ აქვთ საშუალება შეიძინონ უახლესი სასწავლო ლიტერატურა და აქვთ ასევე შესანიშნავი პრაქტიკა სასაუბრო ებრაულში.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

მიმდინარე პროგრამით მომზადებული უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, რომელსაც მიენიჭება ჰუმანიტარიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი აღმოსავლეთმცოდნის (ებრაისტ-არამეისტის) სპეციალობით, უნდა იყოს ერუდირებული სპეციალისტი, მიღებული ჰქონდეს შესაბამისი სისტემური ცოდნა, როგორც ძირითად საუნივერსიტეტო, ასევე სპეციალობის განმსაზღვრელ ზოგადთეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინებში იმ მოცულობით, რაც აუცილებელია კვალიფიკაციის მისაღებად დადგენილი სტანდარტების დასაძლევად.

ბაკალავრს უნდა ჰქონდეს კარგი პრაქტიკული მომზადება, სრულყოფილად ფლობდეს საკუთარ სპეციალობას, უნდა შეეძლოს მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკული გამოყენება კონკრეტული საინფორმაციო-ძიებითი, პედაგოგიური, მეთოდოლოგიური და სხვა ამოცანების გადაწყვეტაში, სასწავლო-აღმზრდელობით და კვლევით სამუშაოებში მონაწილეობა, ენობრივი და ლიტერატურული, ისტორიული მოვლენებისა და პროცესების არსის წვდომა და კრიტიკული შეფასება.

ბაკალავრს უნდა ჰქონდეს უნარი დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარების პირობებში ინფორმაციის ეფექტურად მოპოვებისა როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის გამოყენებით, ასევე ამ ინფორმაციის დამუშავება და სინთეზი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით.

მას უნდა შეეძლოს საბიბლიოთეკო, საარქივო და სამუზეუმო ფონდებზე მუშაობა, ტექსტების რედაქტირება, რეფერირება, პუბლიკაციისათვის ხელნაწერებისა და დოკუმენტების მომზადება, კომენტირება, ანოტირება.

ბაკალავრს შესწევს დამოუკიდებლად პრაქტიკული მუშაობის უნარი, შეუძლია პრობლემათა გადასაჭრელი ალტერნატიული მეთოდების შეთავაზება.

ბაკალავრს მოეთხოვება პროფესიულ სფეროებში თავისუფალი კომუნიკაცია და საკვლევ თემატიკაზე ჯგუფური პრინციპით მუშაობა როგორც რიგითი წევრის, ასევე შესაძლოა, ლიდერის როლში, ჯგუფის წევრთა შორის ამოცანათა ეფექტური განაწილება.

კურსადმავრებულის დასაქმების სფეროები:

ბაკალავრი მზადდება აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში პედაგოგიური კვლევითი, საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, სარედაქტორო, სარეფერენტო, საარქივო-სამუზეუმო, მეთოდოლოგიური, სათარჯიმნო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობისათვის. ებრაისტიკა-არამეისტიკის სპეციალობის ბაკალავრი მომზადებულია და შეიძლება დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო დაწესებულებებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში, ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ყველა იმ თანამდებობაზე სამუშაოდ, რომელიც გათვალისწინებული იქნება ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტებისათვის.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრს საშუალება აქვს სწავლა განაგრძოს მაგისტრატურაში.